პროფესიული მომზადების/პროფესიული
გადამზადების პროგრამის განხორციელების
უფლების მინიჭებელი საბჭო

19/11/2026

MES 0 26 0001692144

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლისთვის „დეკორატიული ბაღის მოვლა" პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლას (ს/კ: 438111106) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - დეკორატიული ბაღის მოვლა /02712/ **(დანართი).**


2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 12 ნოემბერი.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2026 წლის 19 ნოემბრის №1688440 ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.


4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
სანაია სალომე



დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02712	დეკორატიული ბაღის მოვლა	პროფესიული მომზადება	მესამე	14	ქართული	10	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ნინოწმინდა